სად უნდა აიღოს პირმა „კვების ბარათი“?
რომელ სავაჭრო ობიექტებშია შესაძლებელი „კვების ბარათის“ გამოყენება?
რისი შეძენაა შესაძლებელი „კვების ბარათით“?

- „კვების ბარათის“ ასაღებად ბენეფიციარებმა უნდა მიმართონ „სს ლიბერთი ბანკის“ სერვის ცენტრებს ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;
- „კვების ბარათის“ გამოყენება შესაძლებელია ყველა იმ სავაჭრო ობიექტში, რომელიც რეგისტრირებულია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ;
- სავაჭრო ობიექტების ჩამონათვალი ხელმისაწვდომია სააგენტოს ვებ გვერდზე (www.ssa.gov.ge; http://gov.ge/s/eb961);
- „კვების ბარათით“ შესაძლებელია მხოლოდ კვების პროდუქტების შეძენა;
- „კვების ბარათით“ არ შეიძლება ალკოჰოლისა და თამბაქოს შეძენა.

ბავშვის 50-ლარიანი დახმარების გაცემის წესის ცვლილების შესახებ

ამ მიმართულებით მსოფლიო გამოცდილება მრავალფეროვანია. რიგი ქვეყნები დახმარებას სრულად მონეტარული სისტემით გასცემს, ნაწილი კი კვების ვაუჩერს იყენებს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საქართველოს შემთხვევაში შეფასდეს, რომელი მექანიზმია უფრო მეტად ორიენტირებული ბავშვების საჭიროებებზე.

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) რეკომენდაცია ბავშვის 50-ლარიანი დახმარების გაცემის შერეული მეთოდის შესახებ, სწორედ ამ ფაქტორებით არის განპირობებული. პროექტის პილოტირების მიზანს დახმარების გაცემის იმ მეთოდის დადგენა წარმოადგენს, რომელიც ყველაზე დადებითად აისახება ბავშვების კეთილდღეობაზე. გაეროს ბავშვთა ფონდის კვალიფიციური ექსპერტები პროცესებს დააკვირდებიან 2019 წლის განმავლობაში და ჩაატარებენ კვლევას, თუ რომელი მეთოდი იქნება საქართველოს შემთხვევაში უფრო ეფექტიანი.

პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტების განსაზღვრა „შემთხვევითი შერჩევის“ პრინციპით მოხდა, რაც არის ყველაზე აპრობირებული და გავრცელებული მექანიზმი მსოფლიოში.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში მიმართეთ:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელ ხაზს

1505

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ ოფისებს

„კვების ბარათი“
ბავშვის კეთილდღეობისთვის

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებში 16 წლამდე ბავშვებისთვის 50-ლარიანი დახმარება გაიცემა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

სახელმწიფოს პრიორიტეტია ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება

2019 წლის 1 იანვრიდან

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ 100 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებზე, რომელთაც 16 წლამდე ბავშვ(ებ)ი ჰყავთ, ბავშვის 50-ლარიანი დახმარება გაიცემა.

2019 წლის 1 მარტიდან

გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციით, ბავშვის 50-ლარიანი დახმარება სხვადასხვა მეთოდით გაიცემა

- მუნიციპალიტეტების ნაწილში (36 მუნიციპალიტეტი), 50-ლარიანი დახმარებიდან 30 ლარი „კვების ბარათზე“ დაირიცხება (თანხის განაღდების უფლების გარეშე), რომლის გამოყენებასაც ოჯახები მხოლოდ საკვები პროდუქტების შესაძენად შეძლებენ, 20 ლარი ჩაირიცხება ოჯახის საბანკო ბარათზე (თანხის განაღდების უფლებით).
- მუნიციპალიტეტების ნაწილში (32 მუნიციპალიტეტი) ოჯახები 50-ლარიან დახმარებას მხოლოდ ფულადი ბენეფიტის სახით მიიღებენ. თანხა ჩაირიცხება ოჯახის საბანკო ბარათზე და შესაძლებელი იქნება სრულად განაღდება.
- ინფორმაცია მუნიციპალიტეტების შესახებ ხელმისაწვდომია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ გვერდზე. (www.ssa.gov.ge)

unicef

მუნიციპალიტეტები, სადაც „კვების ბარათი“ თანხასთან ერთად გაიცემა

1 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი
2 ვანის მუნიციპალიტეტი
3 ზესტაფონის მუნიციპალიტეტი
4 საჩხერის მუნიციპალიტეტი
5 მცხეთის მუნიციპალიტეტი
6 ყაზბეგის მუნიციპალიტეტი
7 ზუგდიდის მუნიციპალიტეტი
8 ხობის მუნიციპალიტეტი
9 ადიგენის მუნიციპალიტეტი
10 ახალქალაქის მუნიციპალიტეტი
11 ბორჯომის მუნიციპალიტეტი
12 გარდაბნის მუნიციპალიტეტი
13 დმანისის მუნიციპალიტეტი
14 კასპის მუნიციპალიტეტი
15 ქობულეთის მუნიციპალიტეტი
16 შუახევის მუნიციპალიტეტი
17 გლდანი-ნაძალადევის რაიონი
18 დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი
19 ისანი-სამგორის რაიონი
20 ვაკე-საბურთალოს რაიონი
21 ძველი თბილისი - დიდგორის რაიონი
22 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი
23 ლენტეხის მუნიციპალიტეტი
24 დედოფლის წყაროს მუნიციპალიტეტი
25 თერჯოლის მუნიციპალიტეტი
26 სამტრედიის მუნიციპალიტეტი
27 ტყიბულის მუნიციპალიტეტი
28 ქ. ქუთაისი
29 ხონის მუნიციპალიტეტი
30 მარტვილის მუნიციპალიტეტი
31 მესტიის მუნიციპალიტეტი
32 ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი
33 ბოლნისის მუნიციპალიტეტი
34 ქარელის მუნიციპალიტეტი
35 ქ. ბათუმი
36 ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

მუნიციპალტეტები, სადაც ბავშვის 50-ლარიანი დახმარება ფულადი სახით გაიცემა

1 ცაგერის მუნიციპალიტეტი
2 ახმეტის მუნიციპალიტეტი
3 გურჯაანის მუნიციპალიტეტი
4 ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი
5 სიღნაღის მუნიციპალიტეტი
6 ბაღდათის მუნიციპალიტეტი
7 წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
8 ხარაგაულის მუნიციპალიტეტი
9 თიანეთის მუნიციპალიტეტი
10 ქ. ფოთი
11 ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი
12 წალენჯიხის მუნიციპალიტეტი
13 თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი
14 წალკის მუნიციპალიტეტი
15 გორის მუნიციპალიტეტი
16 ხაშურის მუნიციპალიტეტი
17 ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
18 ამბროლაურის მუნიციპალიტეტი
19 ონის მუნიციპალიტეტი
20 თელავის მუნიციპალიტეტი
21 საგარეჯოს მუნიციპალიტეტი
22 ყვარლის მუნიციპალიტეტი
23 ჭიათურის მუნიციპალიტეტი
24 დუშეთის მუნიციპალიტეტი
25 აბაშის მუნიციპალიტეტი
26 სენაკის მუნიციპალიტეტი
27 ასპინძის მუნიციპალიტეტი
28 ახალციხის მუნიციპალიტეტი
29 მარნეულის მუნიციპალიტეტი
30 ქ. რუსთავი
31 ქედის მუნიციპალიტეტი
32 ხულოს მუნიციპალიტეტი

MILK
MILK

MILK
MILK